



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 4

04/01/2018

ქალაქი ბათუმი

4-05-4-201801041748



ზურაბ კაჭახმაძის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე მოსამსახურედ - მძღოლად შრომითი ხელშეკრულებით აყვანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონი - „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს ორგანული კანონის 83-ე, 84-ე მუხლების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელ მძღოლის პოზიციაზე გამოცხადებული გამარტივებული კონკურსის 2017 წლის 27 დეკემბრის №1 საერთო ოქმისა და ზურაბ კაჭახმაძის 2018 წლის 04 იანვრის №21/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ზურაბ კაჭახმაძე - აყვანილი იქნეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამხმარე მოსამსახურედ - მძღოლად, 2018 წლის 04 იანვრიდან შრომითი ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით.
2. წინამდებარე ბრძანება წარმოადგენს ზურაბ კაჭახმაძესთან 2018 წლის 04 იანვარს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა